**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილის ვლადიმერ ნანაძის 2025 წლის 1 იანვრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში**

**მუნიციპალიტეტის დასახელება:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

**სოფელი, თემი, დაბა:** ლანჩხუთი.

**შეხვედრის ჩატარების თარიღი:** 10 ოქტომბერი, 2025 წელი

**შეხვედრას ესწრებოდნენ**: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მოადგილე **ვლადიმერ ნანაძე;** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნანა წილოსანი.**

დეპუტატმა **ვლადიმერ ნანაძემ,** აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთერთი საპასუხისმგებლო ეტაპით რომელიც ითვალისწინებს საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ჩაბარებას. ასევე მან ისაუბრა ამომრჩეველთა პრობლემური საკითხების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე და ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. მან განაცხადა, რომ საანგარიშო პერიოდში შეხვედრები ჰქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) რომელთა ძირითადი მოთხოვნები შეეხებოდა სოციალურ პრობლემებს და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, არაერთ მოქალაქეს გაეწია შუამდგომლობა მედიკამენტების, თუ სამკურნალო საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის ფარგლებში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად საკრებულოს დეპუტატმა **ვლადიმერ ნანაძემ** წარმოადგინა 2025 წლის 1 იანვრიდან დღემდე მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. მან აღნიშნა, რომ უფლებამოსილებას შეუდგა 2021 წ. 4 დეკემბერს. არის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე. ასევე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის და საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის წევრი.

დეპუტატმა ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე:

კეძოდ;

1) მოეწყო შ.პ.ს ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის საქმიანი ეზო.

2) დასრულდა ბაგრატიონის, ბესიკის, გოგებაშვილის, ებრალიძის თამარ მეფის, რ.ებრალიძის, საფო მგელაძის ჩაჩავას და ხოფერიას ქუჩების რეაბილიტაცია.

3) მიმდინარეობს და 2025 წლის ბოლომდე დასრულდება სპორტული დარბაზის მშენებლობა.

4) მიმდინარეობს ქ. ლანჩხუთის წყალმომარაგების სათავე-ნაგებობებისა და ქსელის სრული რეაბილიტაციის სამუშაოები.

5) გურიის ქუჩაზე მოეწყო ხელოვნურ საფარიანი მინი სტადიონი.

6) მიმდინარეობს ჩხაიძის ქუჩაზე ხელოვნურ საფარიანი მინი სტადიონის მოწყობა და ლაშისღელეში მინი სტადიონის რეაბილიტაცია.

აღდგა სტიქიის შედეგად დაზიანებული შეემდეგი ობიექტები:

1) კვირკველიას ქუჩაზე რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხები.

2) კვირკველიას ქუჩაზე, ჟორდანიას ქუჩის მიმდებარედ სანიაღვრე კოლექტორი.

3) ზენაიშვილისა და თამარ მეფის ქუჩაზე მინი სტადიონთან სანიაღვრე არხი და დამცავი კედელი.

4) კუპრეიშვილის,მუსხელიშვილის და თავისუფლების ქუჩებზე სანიაღვრე არხები.

5) დუმბაძის ქუჩაზე ათოიანის სახლთან გაბიონი.

6) ბიქტორ ორაგველიძის  და ქეთი წილოსანის საცხოვრებელ სახლთან გაბიონი.

7) ჟორდანიას ქუჩაზე, ლაშისღელის ხიდთან გაბიონი.

8) ირაკლი წილოსანის საცხოვრებელ  სახლთან გაბიონი.

9) სასულიერო გიმნაზიის სტადიონთან გაბიონი.

10)წმ.ნინოს ქუჩაზე წილოსანთან გაბიონი.

11) მარჯანიშვილის ქუჩაზე, ნინო ნინიძის ეზოსთან ნაპირსამაგრი.

12)  ჭავჭავაძის ქუჩაზე, ზოია ჩხაიძის ეზოსთან საცალფეხო ხიდი და გაბიონი.

13) რეაბილიტაცია ჩაუტარდა თამარ მეფის ქუჩის VI მონაკვეთს.

14) რეაბილიტაცია ჩაუტარდა თბილისის ქუჩას.

15) გადაიხურა სტიქიის შედეგად დაზიანებული 5 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

16) გადაიხურა სტიქიის შედეგად დაზიანებული 12 კერძო საცხოვრებელი სახლი.

17) სახურავის მასალების შესაძენად ფულადი თანხა გადაეცა 44 სტიქიის შედეგად დაზიანებული კერძო საცხოვრებელი  სახლის  მეპატრონეს.

დაგეგმილია თავისუფლების,კვირკველიას, ცაბაძის, კუპრეიშვილისა და საფო მგელაძის სრული რეაბილიტაცია.

1)მიმდინარეობს ქ. ლანჩხუთში ჭავჭავაძის ქუჩაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული გაბიონის, პანდუსისა და მოაჯირების მოწყობა.

2)ებრალიძის ქუჩაზე ჩიხში რკინა-ბეტონის არხის აღდგენა.

3) ნინოშვილის ქუჩაზე სამუსიკო სკოლის მიმდებარედ რკინა-ბეტონის არხის აღდგენა.

მან, მადლობა გადაუხადა მოსახლეობას და თავისი კომპეტენციის ფარგლებში და სამომავლოდ დახმარება აღუთქვა.

პატივისცემით,